სარჩევი

რა არის ახალი 2

ძირითადი საშუალების ჩამოწერა 2

ძირითადი საშუალების რეალიზაცია 4

საქართველოს ინტერნეტ ბანკში პროგრამიდან ატვირთული დოკუმენტების დადასტურების თარიღით გატარება 6

გასწორებული შეცდომები 7

სხვა მოდიფიკაციები 8

ბალანსის რელიზი_1.3.5.6

19.12.2023

რა არის ახალი

ძირითადი საშუალების ჩამოწერა

პროგრამაში დაემატა ახალი დოკუმენტი „ძირითადი საშუალების ჩამოწერა“, რომელიც ძირითადი საშუალებების ჩანართში მდებარეობს და მისი ფუნქციონირება არ არის რაოდენობრივი კონსტანტის ჩართვაზე დამოკიდებული. გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური აღრიცხვის, ასევე რაოდენობრივი აღრიცხვის ძირითად საშუალებებზე.

ძირითადი საშუალების ჩამოწერის დოკუმენტით შესაძლებელია ძირითადი საშუალების ღირებულების როგორც ხარჯზე, ასევე მარაგებზე ჩამოწერაც.



დოკუმენტი აკეთებს შემდეგი შინაარსის გატარებას - არიცხავს იმ პერიოდის მიმდინარე ცვეთას თუ არ აქვს იმ თვეში დარიცხული, ხურავს ამორტიზაციისა და აღრიცხვის ანგარიშებს ერთმანეთში და აკეთებს ხარჯზე ჩამოწერას.



დოკუმენტს აქვს ორი სავალდებულო რეკვიზიტი, ქუდურ ნაწილში - საწყობი, ხოლო სარდაფის ნაწილში - ფილიალი. რაოდენობრივი ძირითადი საშუალების ჩამოწერისას, აუცილებელია ეს რეკვიზიტები სწორად იყოს შევსებული, ასევე ცხრილში არსებული დეპარტამენტი და პასუხისმგებელი პირი, რადგან ღირებულების ჩამოწერა ხდება ადგილმდებარეობისა და პარტიების ჭრილში. თუ რომელიმე მითითებულ რეკვიზიტზე არ არის ძირითადი საშუალების ნაშთი, ჩამოწერის დოკუმენტის გატარებისას პროგრამა გამოიტანს შეტყობინებას არ არსებული ნაშთის შესახებ და არ მოგვცემს დოკუმენტის გატარების საშუალებას.



თუ ძირითად საშუალებაზე გაზრდილია ღირებულება, გაფორმებულია გადაადგილება, ნაწილი ჩამოწერილია ან არის რაიმე სხვა სახის ოპერაციები, დოკუმენტში მიმდინარე ცვეთის დარიცხვა ითვალისწინებს ამ ყველა ცვლილებას. ასევე ნარჩენ რაოდენობაზე ამორტიზაციის დარიცხვაც ავტომატურად გაითვალისწინებს ძირითად საშუალებაზე ზემოთ ნახსენებ მოქმედებებს.

გარდა ამისა პროგრამა გვაძლევს საშუალებას ძირითადი საშუალების ჩამოწერის დოკუმენტი შევტვირთოთ ექსელით, როგორც თვითონ დოკუმენტი, ასევე დოკუმენტში ცხრილური ნაწილიც.

ძირითადი საშუალების რეალიზაცია

რეალიზაციის დოკუმენტს დაემატა ახალი ჩანართი „ძირითადი საშუალება“, ეს ჩანართი ხელმისაწვდომია როგორც კონსტანტის ჩართვის შემთხვევაში, ასევე მხოლოდ ინდივიდუალური აღრიცხვის დროსაც. ახალი ჩანართიდან შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი საშუალებების დარეალიზება, რაც შეეხება სხვა აქტივებისა და მომსახურების ჩანართს, ის დარჩება უცვლელად პროგრამაში და შესაძლებელი იქნება სხვა შინაარსის ოპერაციების გატარება.

თუ ცხრილში არსებული ძირითადი საშუალება არის რაოდენობრივი აღრიცხვის, ამ შემთხვევაში რაოდენობის ველი იქნება მისაწვდომი და ხელით რედაქტირებადი, ხოლო თუ ძირითადი საშუალება არის ინდივიდუალური აღრიცხვის, ასეთ შემთხვევაში რაოდენობის ველი არის მიუწვდომელი და დეფოლტად აქვს გაწერილი „არ მოითხოვება“.



ძირითადი საშუალების ცხრილში გვაქვს მხოლოდ აღრიცხვის ანგარიში, რომელიც ავტომატურად ივსება ძირითადი საშუალების არჩევისას. გატარებაში ცვეთის ხარჯის ანგარიში მოაქვს ძირითადი საშუალების ბარათიდან ავტომატურად, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ანგარიშებს - ხარჯის, შემოსავლის და დღგ-ის ანგარიშს, მათი შევსება შესაძლებელია კონტრაგენტის გასწვრივ ანგარიშწორებების ლინკიდან. ეს ანგარიშები დეფოლტად არის გაწერილი „ძირითად ანგარიშებში“ რეალიზაციის ნაწილში, თუმცა მათი ცვლილება შესაძლებელია, რომ ყველა რეალიზაციაზე წამოიღოს სასურველი ანგარიში.



რეალიზაციის დოკუმენტი აკეთებს როგორც ძირითადი საშუალების ღირებულებისა და რაოდენობის ჩამოწერის გატარებებს, ასევე რეალიზაციის ნაწილსაც. ჩამოწერის გატარებები კეთდება ძირითადი საშუალების ჩამოწერის დოკუმენტის ანალოგიურად, რაოდენობრივ ძირითად საშუალებაზე ღირებულებები ჩამოიწერება რაოდენობის, საწყობის, ფილიალის, დეპარტამენტის, პასუხისმგებელი პირისა და პარტიების ჭრილში.



რეალიზაციის დოკუმენტიდან შესაძლებელია ძირითადი საშუალებებზე როგორც ზედნადების, ასევე ანგარიშფაქტურის გაწერა. რაოდენობრივის შემთხვევაში მიაქვს ის რაოდენობა და ფასი, რაც რეალიზაციის დოკუმენტშია, ინდივიდუალურის შემთხვევაში კი რაოდენობაში ყოველთვის მიაქვს ერთი.

№	საქონლის კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი	დაბეგვრა	დამატ. რაოდ.
1	000311	ძირითადის რაოდენობრივი	ცალი	5	100.0000	500.00	ჩვეულებრივი	0
2	000314	ძირითადის ინდივიდუალური	ცალი	1	100.0000	100.00	ჩვეულებრივი	0
				6.0000		600.00		

10 | 2 ჩანაწერი / 1 გვერდი | წინა | 1 | შემდეგი | ექსპორტი

შესაძლებელია ძირითადი საშუალებების რეალიზაციის ექსელით შეტვირთვაც. მონაცემების შეტვირთვის დამუშავებაში რეალიზაციაში დამატებულია ძირითადი საშუალებების ჩანართი.

შესაბამისი აწყობების დაყენებით პროგრამაში შეძლებთ როგორც დოკუმენტების შეტვირთვას, ასევე ძირითადი საშუალებების ცხრილის შეტვირთვასაც.



ასევე შესაძლებელი იქნება დოკუმენტის საბეჭდ ფორმაში ძირითადი საშუალებების ცხრილში გამოტანა.

საქართველოს ინტერნეტ ბანკში პროგრამიდან ატვირთული დოკუმენტების დადასტურების თარიღით გატარება

ფუნქციონალს დაემატა საქართველოს ინტერნეტ ბანკში პროგრამიდან ატვირთული ტრანზაქციების ჩამოტვირთვისას, ოპერაციების ბანკში დადასტურების თარიღით გადავსების ფუნქცია.

როდესაც ბაზაში აწყობილია საქართველოს ბანკთან ინტეგრაცია ვებ-სერვისებით, პროგრამიდან ბანკში ატვირთული დოკუმენტის უკან შემოტვირთვისას, თუკი ტრანზაქციის დადასტურების თარიღი არ დაემთხვევა ბაზაში დოკუმენტის თარიღს, ამონაწერის ჩამოტვირთვის დამუშავებაში, ოპერაციის სტრიქონი ვიზუალურად გალურჯდება, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული ტრანზაქცია პროგრამამ ამოიცნო, შეუსაბამა ბაზაში არსებულ ფულის გასვლის დოკუმენტს, თუმცა დოკუმენტის თარიღი და ინტერნეტ ბანკში დადასტურების თარიღები ერთმანეთს არ ემთხვევა.

	N		დ...	თარიღი	დასახელება	ს/წ	დაწიშწულება
	41			9/9/2021	TEST_API_COMPANY	400114461	tstt
	141			11/4/2023	შპს სატესტო კოდი1		tstt
	142			11/4/2023	შპს სატესტო კოდი1		tstt

ამონაწერის ჩამოტვირთვის დამუშავებაში,ცხრილის ქუდურ ნაწილში ასევე დავამატეთ ''განსხვავებული თარიღები'' და ''დოკუმენტის თარიღის გადავსება'' ღილაკები, რაც იმ შემთხვევაშია ხილვადი თუკი ბაზაში გააქტიურებულია კონსტანტა ბანკთან ინტერაცია ვებ-

სერვისებით.



''განსხვავებული თარიღები'' ღილაკზე დაჭერით მოიფილტრება ყველა ის ოპერაცია, რომლის დადასტურების თარიღი არ ემთხვევა დოკუმენტის თარიღს, ხოლო გალურჯებული სტრიქონების ალმით მონიშვნის და დოკუმენტის თარიღის გადავსება ღილაკზე დაჭერით, დოკუმენტის თარიღი შეიცვლება ბანკში დადასტურების თარიღით, შესაბამისად სტრიქონი გამწვანდება.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ძირითადი საშუალებების შეზღუდული როლისთვის საწყობის მოდულზე წვდომა
- გასწორებული გატარებების ჟურნალში ინფორმაციის სორტირებისას აპლიკაცია ავარიულად გათიშვის ხარვეზი
- გასწორებულია მიღებული სასაქონლო ზედნადების ჩამოტვირთვის დამუშავების ხარვეზები
- გასწორებულია შეფუთვებით შეკვეთილი პროდუქციის დოკუმენტში გადატანის ხარვეზი
- გასწორებულია შესყიდვის კორექტირების დოკუმენტში პარტიების რეგისტრის ხარვეზი
- გასწორებულია მყიდველის შეკვეთის საფუძველზე შექმნილ დოკუმენტში შეკვეთილ რაოდენობაზე შეტყობინების ხარვეზი
- გასწორებულია ვებ-სერვისების გაცვლაში ნაშთების წაკითხვის ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- საკრედიტო ლიმიტის რეპორტში შეკვეთის გათვალისწინება
- შესაძლებელი გახდა გაყიდვების დამხმარეში ლოალურობის ბარათის პირადი ნომრით მოძებნის
- ბანკთან ინტეგრაციით ინტერნეტბანკში ატვირთული დოკუმენტის პროგრამულ და ბანკში დადასტურების თარიღებს შორის სხვაობა
- ვებ-სერვისებს დაემატა ვალის კორექტირების გაცვლა
- დაემატა სავაჭრო წარმომადგენლის უფლებებში მისაწვდომი დოკუმენტების ჩამონათვლი
- შესაძლებელი გახდა ზედნადებების ერთიანად ბეჭდვა
- შეტყობინების დაგზავნის დამუშავებაში ფილტრში პაკეტურად შეტვირთვის შესაძლებლობა.
- შესაძლებელი გახდა ხელფასის პაკეტური გადარიცხვის დოკუმენტის დანიშნულებაში დარიცხვის ტიპის დასახელების მითითება